დავინახე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოშარდა, შემდეგ აიღო აბდესი და მასჰი გაიკეთა ფეხსაცმელებზე

იბრაჰიმ ან-ნახა'ი გადმოსცემს ჰამმაამ ბინ ალ-ჰაარისისგან, რომელმაც თქვა: ჯარირმა მოშარდა, შემდეგ აიღო მცირე განბანვა და ფეხსაცმელზე გაიკეთა მასჰი, მას ჰკითხეს: ამას აკეთებ? მან თქვა: დიახ, დავინახე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოშარდა, შემდეგ აიღო აბდესი და მასჰი გაიკეთა ფეხსაცმელებზე, ალ-ა'მაშიმ თქვა: იბრაჰიმმა თქვა: ეს ჰადისი მათ ძალიან მოსწონდათ, რადგან ჯარირმა ისლამი სურა ალ-მაიდას გადმოვლენის შემდეგ მიიღო.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ჯარირმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მოშარდა, შემდეგ აიღო აბდესი და მხოლოდ ფეხსაცმელზე გაიკეთა მასჰი, მას არ დაუბანია ფეხები, მის ირგვლივ მყოფებმა უთხრეს მას: ამას აკეთებ? მან თქვა: დიახ, დავინახე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოშარდა, შემდეგ აიღო აბდესი და მასჰი გაიკეთა ფეხსაცმელებზე. ჯარირმა მიიღო ისლამი გვიან — სურა "ალ-მაიდას" გარდმოვლენის შემდეგ, რომელშიც მოცემულია აიათი განწმენდაზე (ვუდუზე). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხუფფებზე (ტყავის წინდებზე) გასმა ამ აიათით არ გაუქმებულა და ძალაში დარჩა.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65378